# საქართველოს სახელმწიფო ბანკი

# GEORGIAN STATE BANK

## (1919-1921)



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველოს ეროვნული ბანკი

თბილისი 2022



1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში რევოლუცია მოხდა და მონარქია დაემხო. სულ მალე თბილისში მუშაობას შეუდგა რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული სამხარეო ხელისუფლების ორგანო - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი ე.წ. ოზაკომი (Особый Закавказский Комитет), რომელიც რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ, 1917 წლის შემოდგომაზე დაიშალა. 15 ნოემბრიდან რეგიონის მართვა ახლად შექმნილმა ამიერკავკასიის კომისარიატმა დაიწყო. 1918 წლის 10 თებერვალს თბილისში მოიწვიეს ამიერკავკასიის წარმომად-

In February-March 1917, a revolution took place in Russia. The monarchy fell. Soon after, the regional government body appointed by the Russian Provisional Government - Trans-Caucasus Special Committee started working in Tbilisi. But it was disbanded in the autumn of 1917 after the overthrow of the Russian Provisional Government. From November 15, the newly created Transcaucasian Commissariat began to manage the region. On February 10, 1918, the representative body of Transcaucasia - the Seym - was convened in Tbilisi, and after a long hesitation, it decided to legalize the separation of Transcaucasia from Russia. On April 9, the Seimas adopted the Declaration of Independence and declared Transcaucasia an independent, federative republic. The military-political situation in the Caucasus and Russia changed dramatically, the parties included in the federation turned out to be supporters of different political orientations, which finally, on May 26, 1918, led to the disintegration of the Transcaucasian Federative Republic. On the same day, the National Council of Georgia declared Georgia an independent, democratic republic. The creation of an independent monetary and credit system in the Democratic Republic of Georgia was of crucial importance for the country’s economic development. Banks and credit societies founded by Russia were functioning in Georgia, behind which Russian capital was largely/largely.

გენლობითი ორგანო-სეიმი, რომელმაც საკმაოდ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა ამიერკავკასიის რუსეთისგან ჩამოშორება იურიდიულად გაეფორმებინა. 9 აპრილს, სეიმმა დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო და ამიერკავკასია დამოუკიდებელ, ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა. კავკასიასა და რუსეთში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, ფედერაციაში შემავალი მხარეები სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მომხრეები აღმოჩნდნენ, რამაც საბოლოოდ, 1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა გამოიწვია. იმავე დღეს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოში რუსეთის მიერ დაარსებული ბანკები და საკრედიტო საზოგადოებები ფუნქციონირებდნენ, რომელთა უკან დიდწილად/მეტწილად რუსული კაპიტალი იდგა. ისინი ძირითადად, მოკლევადიანი კრედიტების, მემამულეებსა და ქალაქად ქო-


საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ნების მსხვილ მესაკუთრეებზე იპოთეკური სესხების გაცემით შემოიფარგლებოდნენ. საქართველოში ცენტრალური ბანკის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა, რომელიც მხოლოდ სახაზინო და შემნახველი სალაროს ფუნქციას ახორციელებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში ბანკებსა და საფინანსო ორგანიზაციებს თავიანთი კლიენტურის ფულის ნიშნებით მომარაგება უჭირდათ, რაც საზოგადოებაში მღელვარებასა და ბანკისადმი უნდობლობას იწვევდა. 1918 წლის 28 მაისს, პირველად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის დაარსების საკითხი დაისვა. ბანკს საემისიო უფლება მიენიჭებოდა. შესაბამისი წინადადება საქართველოს ეროვნულ საბჭოს გადაეგზავნა. 1918 წლის 3 ივნისს, ეროვნული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე სახელმწიფო ბანკის დაარსების საკითხი განიხილეს. მოხსენებით ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ.ჟურული წარდგა.

საქართველოს ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი (1919-1921 წწ.) კონსტანტინე კანდელაკი 1918-1919 წლებში შექმნილ სიტუაციას ასე იხსენებდა:

The duty of the central bank in Georgia was fulfilled by the Tbilisi office of the State Bank of Russia, which performed only the function of treasury and savings bank. During the period of Georgia's declaration of independence, banks and financial organizations had difficulty supplying their clients with banknotes, which caused public excitement and mistrust of the bank.

On May 28, 1918, for the first time, at the meeting of the Government of the Democratic Republic of Georgia, the issue of establishing the National Bank of Georgia was raised. The bank would be granted the issuing right. The corresponding proposal was sent to the National Council of Georgia. On June 3, 1918, at the session of the Finance and Budget Commission of the National Council, the issue of establishing the State Bank was discussed. Where the Minister of Finance and Trade-Industry Giorgi Zhuruli presented a report, and at the meeting of the government on May 29, 1919, the new Minister of Finance and Trade-Industry, Konstantine Kandelaki, presented the proposal and charter of the State Bank. Also, the minister's report discussed the bank's organizational structure models:




5000 მანეთი. სახაზინო ობლიგაცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1919 წელი.

© *საქართველოს ეროვნული ბანკი*

1921

რი 1920 წ.

5000 მან.

# ႡႳႡႪႨႩႨႱ ႾႠႦႨႬႨႱ 5% ႫႭႩႪႤ ႥႠႣႨႠႬႨ ႥႠႪႣႤႡႳႪႤႡႠ.

ი წარმომდგენს საქართველოს რესპუბლიკის ხაზინა

რს მისცემს **ႾႳႧႨ ႠႧႠႱ ႫႠႬႤႧႱ**.

თბილისი, 15 იანვარი 1919 წ.

დომარე

ფინანსთა მინისტრი

ფინდაწინ და 5% გადასახადისგან განთავისუფლებულია.

Обязательство Казначейства Грузинской Республики на 5000 р.
Уплачивается 1 Января 1920 г.

*„სახელმწიფო კრედიტის დამოუკიდებელი აპარატი, რომელსაც ხელთ უნდა ეპყრას სადავე ფულის ტრიალის მოწესრიგებისა და სავაჭრო-სამრეწველო კრედიტის, არ არსებობდა. ამიტომ ჩვენში არსებული კერძო ბანკებიდან, ბევრი თვითონ იკაფავდა გზას საოპერაციო ახალ წყაროების გამოსანახავათ და იმდენათ დახელოვნდნენ კანონის „კანონიერად“ გვერდის ახვევაში, რომ ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებას და კონტროლს მოითხოვდა; წვრილი კრედიტი - საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები - სახელმწიფო ბანკის (რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბანკი) ფრთების ქვეშ აღზრდილნი და მის ზრუნვას შეჩვეულნი, სჭკნებოდნენ. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო გრძნობდა, რასაკვირველია, ამ დაბრკოლებას და ამიტომ იმან თითქმის ყველა სხვა თვალსაჩინო პროექტზე უწინარეს სახელმწიფო ბანკის კანონპროექტი შეიმუშავა და პარლამენტს წარუდგინა. რატომ არ იქმნა იგი დიდი ხნის განმავლობაში საკანონმდებლო დაწესებულების მიერ დამტკიცებული? გარდა ჩვეულებრივი სიძნელისა, რომელსაც საკანონმდებლო დაწესებულებანი ხშირად იჩენენ ხოლმე დემოკრატიულ ქვეყნებში (პროცედურა კანონის განხილვისა და მიღებისა). ამ კანონპროექტს ჩვენში სხვა დაბრკოლებებიც წინ გადაეღობა. გარდა დიდი დანიშნულებისა, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო ბანკს და ამიტომ მისი მოწყობა დიდ დაკვირვებას მოითხოვს, მის ორგანიზაციასთან ბევრი სპეციალური-ტექნიკური საკითხებია დაკავშირებული. ამიტომ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია დიდის ყურადღებით მოეპყრა ამ საკითხს. თუმცა სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტში ნაგულისხმევი იყო შესაძლებელი რეფორმები, მაგრამ საფინანსო კომისიას მაინც მრავალი სხდომა ჰქონდა სპეციალისტების, სავაჭრო-სამრეწველო წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული; ეს იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებიც მოახლოვდა და ამ უკანასკნელის დალაგებამ, ახალ კომისიების საქმის კურსში შესვლა, იმავე სიძნელემ და სიფრთხილემ კიდევ დიდხანს შეაჩერა ბანკის კანონპროექტის დამტკიცება, როცა ერთმა ჩვენმა მისიის მეთაურმა ევროპაში რჩევა ჰკითხა იქაურ ფინანსისტს ჩვენში სახელმწიფო ბანკის ორგანიზაციის შესახებ, ეს ფინანსისტი თავის წერილობით მოხსენებაში რჩევას იძლეოდა - არ გაგვემეორებინა რუსეთის მაგალითი და სახელმწიფო ბანკის ფინანსთა მინისტრის სრულ განკარგულებაში არ მოგვექცია“.*




100 მანეთი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1919 წელი.




5000 მანეთი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1921 წელი.




5000 მანეთი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1921 წელი.

1919 წლის 29 მაისის მთავრობის სხდომაზე, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ახალმა მინისტრმა, კონსტანტინე კანდელაკმა წარადგინა წინადადება და წესდება სახელმწიფო ბანკის შესახებ. ასევე, მინისტრის მოხსენებაში განხილული იყო ბანკის ორგანიზაციული მოწყობის მოდელები:

1. **სრულიად დამოუკიდებელი წმინდა სააქციონერო - ინგლისის ბანკის მოდელი;**
2. **წმინდა სახელმწიფო - რუსეთის სახელმწიფო ბანკის მოდელი;**
3. **შერეული სააქციონერო - სახელმწიფო - გერმანიის ცენტრალური ბანკის მოდელი;**

მთავრობის პროექტით, ბანკი წმინდა სახელმწიფო იქნებოდა. ბანკის გამგესა და მმართველობის კოლეგიალური ორგანოს გამგეობას პარლამენტი დაამტკიცებდა. ბანკის საზედამხედველო ორგანოს - საბჭოს - წევრები არჩეული იქნებოდნენ პარლამენტის მიერ, საქართველოს რესპუბლიკაში ცნობილი სავაჭრო-სამრეწველო და საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ასპარეზსა ან მეცნიერებაში მოღვაწეობით ცნობილი პირები. ბანკს საემისიო უფლება საგანგებო საკანონმდებლო აქტით უნდა მინიჭებოდა, როცა შესაფერისი დრო დადგებოდა. 1919 წლის 30 მაისს საქართველოს მთავრობამ დამფუძნებელ

1. **Fully independent pure joint stock - Bank of England model;**
2. **Pure State - model of the State Bank of Russia;**
3. **Mixed joint-stock-state-German central bank model;**



დამფუძნებელი კრების მიმოწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდების თაობაზე.

*© საქართველოს ეროვნული არქივი*


საქართველოს
რესპუბლიკა
საქმეთა მმართველობა
30 მაისი 1919 წ.

დამფუძნებელ კრებას.

გიგზავნით ფინანსთა მინისტრის მოხსენებას საქართველოს სახელმწიფო ბანკის ორგანიზაციის შესახებ.
ეს მოხსენება მოწონებულია მთავრობის მიერ მიმდინარე მაისის 29-ს.

დამატებანი: იასონ ლორთქიფანიძის მოხსენება და წესდების პროექტი.

საქმეთა მმართველი

საქმის მწარმოებელი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმოწერა დამფუძნებელ კრებასთან სახელმწიფო ბანკის შესახებ.

© საქართველოს ეროვნული არქივი

According to the government project, the bank would be pure state. The board of the bank's board and the board of the collegial body of governance will be approved by the parliament. The members of the bank's supervisory body - the board - would be elected by the parliament, well-known personalities distinguished by their work in the trade-industrial and socio-economic processes or science in the Republic of Georgia. The issuing right to the bank was to be granted by a special legislative act when the time was right. On May 30, 1919, the Government of Georgia sent to the Constituent Assembly the report of the Minister of Finance and Trade and Industry of Georgia about the State Bank, the report of the future Governor of the bank, Iason Lortkipanidze, and the draft of the bank's charter. The Budget and Finance Commission of the Constituent Assembly started the review of the articles of the State Bank. The review was completed at the end of October and it was handed over to the Editorial Commission of the Parliament to develop the final text. After the approval of the bank's charter, at the beginning of November 1919, the budget-financial and legal commissions of the Parliament started working on the "Law on the establishment of the State Bank", which was finally approved by the Parliament and approved at the plenary session of December 31, 1919.

კრებას გადაუგზავნა სახელმწიფო ბანკის შესახებ საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოხსენება, ბანკის მომავალი მმართველის, იასონ ლორთქიფანიძის მოხსენება და ბანკის წესდების პროექტი. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის 2 ივნისის გადაწყვეტილებით, საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულ კომისიებს ბანკის წესდების პროექტი წინასწარ გადაეცათ განსახილველად. რამდენიმე დღის შემდეგ კი პარლამენტში მოქმედ ყველა ფრაქციას. პარლამენტმა დაიწყო სახელმწიფო ბანკის წესდებისა და მოწყობის პროექტების დეტალური განხილვა. 1919 წლის 17 ივლისს, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მიერ პირველადი განხილვის შედეგად შესწორებული პროექტი მთავრობას უკან დაუბრუნა. 1919 წლის 23 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სხდომაზე საქართველოს სახელმწიფო ბანკის პროექტის განახლებული ვერსიით წარდგა. ზოგადი მსჯელობის შემდეგ კომისიამ მოიწონა პროექტი და დაადგინა: *„წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სახელმწიფო ბანკისა, პრინციპიალურად მოწონებულ იქნეს, ხოლო მუხლობრივი მისი განხილვა გადადოს შემდეგი კრებისათვის“.* მეორე დღიდან საბიუჯეტო-საფინანსო კომისია სახელმწიფო ბანკის მუხლობრივ განხილვას შეუდგა, რომელიც ოქტომბრის ბოლოს დაასრულა და საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად პარლამენტის სარედაქციო კომისიას გადასცა. ბანკის წესდების დამტკიცების შემდეგ, 1919 წლის ნოემბრის დასაწყისში პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულმა კომისიებმა დაიწყეს „სახელმწიფო ბანკის დაარსების დეკრეტის“ შესახებ მუშაობა, რომელიც დამფუძნებელ კრებას 11 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე წარედგინა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით, დეკრეტის ნაცვლად, კანონპროექტის სახით უნდა განეხილათ. მუხლობრივი განხილვისათვის კანონპროექტი კვლავ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას დაუბრუნდა, რომელმაც მუშაობის დასრულების შემდეგ საბოლოო რედაქციისათვის კანონპროექტი სარედაქციო კომისიას გადასცა, რომლის მიერ შესწორებული ვერსია პარლამენტმა მოიწონა და 1919 წლის 31 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა.



საქართველოს რესპუბლიკის მთავრობ

მოხსენებ

საქართველოს სახელმწიფო
ბის შესახებ.

ფული და კრედიტი არის ღერძი თანამედროვე მეურნეობის. ამიტომ
ჩვეული დროში არამც თუ ეკონომიურ სფეროში თამაშობენ უდიდეს როლს, არამე
სახელმწი- გავლენას ახდენენ საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკურ საქმეებზედ
ბანი. კერძოთ, ვალიუტის საკითხს, სადისკონტო პოლიტიკას და სხვა მრავა
რომელნიც მჭიდროთ დაკავშირებულნი არიან სახელმწიფოს ცენტრალურ
ათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ იმისთვის, თუ რა ხასიათს მიიღებს ვაჭრობა-მრ
ელმწიფოში და რა გზით წავა იმის მწარმოებელ ძალთა განვითარება. განსაკუთრები
მორივ ბანკის მნიშვნელობა, როცა იმას საემისიო უფლებაც აქვს მინიჭებული, რადგ
მისო პრივილეგია ხელს უწყობს ასეთ უფლებით აღჭურვილ ბანკს გახდეს de facto
რსებულ ყველა საკრედიტო დაწესებულებათა ცენტრალურ ბანკათ — ბანკების ბანკათ
ძლევს იმას სადაცეს მთელი კრედიტის და ფულის ტრიალის განაწილებისა და მოწეს
ახლა თითქმის ყოველგან სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკის ხელშია საემისიო უფ
ველოშიც ეს ასე უნდა მოხდეს, მით უფრო, რომ საკითხი, თუ ვის უნდა მიენიჭოს
ება, რომელიც სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვა დროს სადავო ყოფილა ხოლ
დავოთ არის მისაღები: შეუძლებელია საქართველოს რესპუბლიკაში რამდენიმე საემისიო
ობდეს; ეს უფლება ჩვენში უნდა მიენიჭოს ერთს რომელსამე ბანკს და ასეთი, უეჭველ
იფო ბანკი იქნება.
საბანკო პოლიტიკის ისტორიაც იმას გვეუბნება, რომ, მართალია, ძველათ საემისიო
ებულებულნი პირნი ადვილათ ყიდულობდნენ ხოლმე მთავრობისგან პირად გამორჩენისთვ
შინ არც იშვიათ მოვლენათ ითვლებოდა, მაგრამ ჩვენს დროში საემისიო ბანკის მოწყობა
ათლებულ ქვეყნებში უდიდეს სახელმწიფო საქმეთ მიაჩნიათ და პოლიტიკური პარტიებ
ენტო არჩევნების დროსაც კი ხშირათ სარგებლობენ საბანკო პოლიტიკით, როგორც ერ
ნო საავიტაციო მასალით (მაგ. ამერიკაში). ამიტომ, იქაც კი, სადაც სახელმწიფო ბან
ევდა კერძო ბანკისთვის გადაცეცათ, ამ ბანკს ვერ აძლევენ უფლებას თავისუფლათ მო
ოგორც ჩვეულებრივ ბანკს. განსხვავება სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფო ბანკთა შო
რომალურია, ვინემ არსებითი, მაგრამ ამ ფორმას, **ტიპს** ბანკისას, იმდენათ დიდი მნიშ
ანკის მომავლისთვის, რომ იმისგან ძლიერ დამოკიდებულია ბანკის მომავალი.
რა ტიპის უნდა იყოს სახელმწიფო ბანკი?

© საქართველოს ეროვნული არქივი



© საქართველოს ეროვნული არქივი

# კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსებისა

1. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული წესდების თანახმად, დაარსებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკი;
2. გაღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად, წესდების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცდაათი /50/ მილიონი მანეთი;
3. არსებულ კანონმდებლობის ყოველი ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებას, გაუქმებულ იქნეს ბანკის მოქმედების დაწყების დღიდან;
4. კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ

1919 წლის დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი: ალ. ლომთათიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე: ე. გეგეჭკორი

საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდება შედგებოდა 144 მუხლისგან, რომელიც შვიდ თავად იყოფოდა. **წესდების მიხედვით, სახელმწიფო ბანკის მოვალეობა იყო: ფულის მიმოქცევის ხელშეწყობა და გაადვილება, ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის მოკლევადიანი კრედიტით უზრუნველყოფა.** ბანკს უფლება ეძლეოდა ეწარმოებინა შემდეგი ოპერაციები:

1. **გაენაღდებინა თამასუქები და სხვა ვადიანი ვალდებულებები;**
2. **გაეცა სესხები;**
3. **ანაბრების მიღება;**
4. **თამასუქებითა და ძვირფასი ლითონით ვაჭრობა;**
5. **თანხის გადაგზავნა და საკომისიო ოპერაციები;**
6. **სახაზინო და სახელმწიფო ოპერაციები;**

სახელმწიფო ბანკის წესდებით, ბანკს მართავდა **გამგეობა** და **საბჭო.** ბანკის გამგეობაში შედიოდნენ: მმართველი, მმართველის ამხანაგი (მოადგილე) და ორი წევრი. ბანკის მმართველს ირჩევდა პარლამენტი, ხოლო მის მოადგილესა და გამგეობის წევრებს მმართველის წარდგინებით და ბანკის საბჭოსგან მოწონებულ კანდიდატურებს პარლამენტი ამტკიცებდა. გამგეობას ეკისრებოდა აღმასრულებელი ფუნქცია - ბანკის ხელმძღვანელობა, ოპერაციების კონტროლი, რევიზიის

The duty of the State Bank of Georgia was: promotion and facilitation of money circulation, treasury operations, provision of short-term credit for trade, industry and agriculture. According to the charter of the State Bank, the bank was managed by the board . The bank's Management board included: the Governor, the deputy governor and two members of Management board. The bank's Governor was elected by the parliament, and his deputy governor and board members were approved by the parliament, based on the nominations of the Governor and approved by the bank's board. The board had an executive function. In particular, management of the bank, control of operations, appointment of audit, preparation of annual budget and submission to the parliament, and it also represented the bank in court. The bank's board met as needed. at least once a week; Decisions were made by the majority of votes, in case of equal votes, the ruler's vote had the decisive right.

The board of the State Bank was composed of 12 members: the chairman of the board, the deputy chairman and 7 members appointed by the parliament. In addition to these members, the bank's governor and two representatives of the Ministry of Finance and Trade-Industry were considered members of the Board . Board members were appointed for a term of 3 years. It is possible for a member of the Board to be a member of the founding meeting at the same time. The meeting of the board was held once a month, and in case

დანიშვნა, წლიური ხარჯთაღრიცხვის შედგენა და პარლამენტისათვის წარდგენა და ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ბანკს სასამართლოზე. ბანკის გამგეობა საჭიროებისამებრ იკრიბებოდა, სულ მცირე, კვირაში ერთხელ; გადაწყვეტილებები მიიღებოდა ხმათა უმრავლესობით, თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტი უფლება მმართველის ხმას ჰქონდა.

სახელმწიფო ბანკის საბჭო 12 წევრისგან იყო დაკომპლექტებული: საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი და შვიდი წევრი, რომლებსაც პარლამენტი ნიშნავდა. ამ წევრების გარდა, საბჭოს წევრებად ითვლებოდნენ ბანკის მმართველი და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ორი წარმომადგენელი. საბჭოს წევრები 3 წლის ვადით ინიშნებოდნენ. საბჭოს წევრი შესაძლებელია ერთდროულად დამფუძნებელი კრების წევრიც ყოფილიყო. საბჭოს კრება თვეში ერთხელ ინიშნებოდა; თანაბარი ხმების შემთხვევაში კი, თავმჯდომარის ხმა იყო გადამწყვეტი. საბჭოს ევალებოდა: ბანკის საერთო საქმიანობაზე, ბანკის სალაროზე, ფასეულობასა და ანგარიშების წარმოების კონტროლი; პარლამენტისათვის წარსადგენი წინადადების შემუშავება, ხარჯთაღრიცხვის განხილვა პარლამენტში წარდგენამდე; სესხებსა და ანაბრებზე განაკვეთების დაწესება და ცვლილება; უიმედო ვალების ჩამოწერა; გამგეობის წარდგინებით ბანკის

of equal votes, the vote of the chairman was decisive. The board was responsible for: control over the general activities of the bank, the bank's cash register, value and production of accounts; development of the proposal to be submitted to the Parliament, consideration of cost estimates before submission to the Parliament; establishment and change of rates on loans and deposits; writing off bad debts; On the recommendation of the board, the appointment and dismissal of the manager of the bank's department, the chief cashier, the chief accountant and the bank inspector. Other employees were appointed and dismissed by the bank's management board. All employees of the bank, members of the board and the council are obliged to maintain secrecy They received it with the appropriate signature.

**The structure of the State Bank consisted of: main office, Departments and bank agencies.** The bank had the right to open branches in large trade and industrial cities of the republic. Bank agencies only performed simple banking operations.

The operational year of the State Bank included the period from January 1 to December 31. The annual report developed by the management board and reviewed by the bank's board was sent to the state controller (auditor general in today's sense) . During the preparation of the cost estimate and in the subsequent period, the state control audit inspected the bank. The results of the audit were sent to the bank's board

განყოფილების მმართველის, მთავარი მოლარის, მთავარი ბუღალტრისა და ბანკის ინსპექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან დათხოვნა. სხვა დანარჩენ თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა ბანკის გამგეობა. ბანკის ყველა მოხელე, გამგეობისა და საბჭოს წევრები ვალდებულებას საიდუმლოების დაცვის შესახებ შესაბამისი ხელწერილით იღებდნენ.

**სახელმწიფო ბანკის სტრუქტურა შედგებოდა: ძირითადი კანტორა, განყოფილებები და ბანკის სააგენტოები.** ბანკს უფლება ჰქონდა გაეხსნა განყოფილებები რესპუბლიკის დიდ სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებში. ბანკის სააგენტოები კი, მხოლოდ მარტივ საბანკო ოპერაციებს ასრულებდნენ.

სახელმწიფო ბანკის საოპერაციო წელი მოიცავდა 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს; გამგეობის მიერ შემუშავებული და ბანკის საბჭოს მიერ განხილული წლიური ანგარიში სახელმწიფო კონტროლიორს ეგზავნებოდა. ხარჯთაღრიცხვის შედგენისა და შემდგომ პერიოდშიც სახელმწიფო კონტროლის რევიზია ამოწმებდა ბანკს. რევიზიის შედეგები სათანადო რეაგირებისთვის ბანკის გამგეობას ეგზავნებოდა, რომელიც შემდეგ ბანკის საბჭოს სხდომაზე განიხილებოდა. დასკვნა სახელმწიფო ბანკის წლიურ ხარჯთაღრიცხვაზე

for appropriate response, which was then discussed at the bank's board meeting. The conclusion on the annual budget of the State Bank should be submitted to the Parliament by the State Controller no later than July 1st. Finally, the bank's Governor had to present the bank's annual report to the parliament by September 1. In addition, the bank was obliged to periodically publish the balance sheet showing the main accounts.

From the beginning of 1920, discussions on the creation of the bank's organization, the selection of the Governor and board members were actively started. On February 20, 1920, a plenary session was held in the Parliament of Georgia, where the monthly salaries of the Governor of the State Bank, the members of the Management Board, the Chairman of the Board and the members of the Board were discussed. At the session of March 16, 1920, the Parliament of Georgia elected Iason Lortkipanidze as the Governor of the State Bank, and Nikoloz Eliava, the Chairman of the Budget-Finance Commission of the Constituent Assembly, as the Chairman of the Board, and Simon Mdivani, the Deputy Chairman of the Founding Assembly, as the Deputy Chairman of the Board; Board members: Vasil Berelashvili, Giorgi Zhuruli, Diomide Topuridze, Adam Forakashvili, Konstantine Meskhi, Parmen Chichinadze, Ivane Tsagareli. Despite the election of the board members and the bank governor, the election of the board members and the transfer of the building to the state bank were delayed.

სახელმწიფო კონტროლიორს პარლამენტისთვის უნ-და წარედგინა არაუგვიანეს პირველი ივლისისა. საბო-ლოოდ, ბანკის მმართველს ბანკის წლიური ანგარიში პარლამენტის წინაშე 1 სექტემბრამდე უნდა წარედ-გინა. გარდა ამისა, ბანკი ვალდებული იყო ძირითა-დი ანგარიშების ამსახველი ბალანსი პერიოდულად გამოექვეყნებინა.

1920 წლის დამდეგიდან აქტიურად დაიწყო ბანკის ორგანიზაციის შექმნის, მმართველისა და საბჭოს წევ-რების არჩევის საკითხის განხილვები. 1920 წლის 20 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების პლენარული სხდომა გაიმართა, სადაც განიხილეს სა-ხელმწიფო ბანკის გამგის, გამგეობის წევრების, საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრების ყოველთვიური გასამრჯელოები.

1920 წლის 16 მარტის სხდომაზე საქართველოს დამ-ფუძნებელმა კრებამ სახელმწიფო ბანკის გამგედ ია-სონ ლორთქიფანიძე აირჩია, ხოლო საბჭოს თავმჯდო-მარედ - დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ ელიავა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ - დამფუძნებელი კრე-ბის თავმჯდომარის მოადგილე სვიმონ მდივანი, საბ-ჭოს წევრებად: ვასილ ბერელაშვილი, გიორგი ჟურული, დიომიდე თოფურიძე, ადამ ფორაქაშვილი, კონსტანტი-ნე მესხი, პარმენ ჭიჭინაძე, ივანე ცაგარელი. საბჭოს წევრებისა და ბანკის მმართველის არჩევის მიუხედავად, შეფერხდა გამგეობის წევრების არჩევა და სახელმწიფო ბანკისთვის შენობის გადაცემის საკითხი. ამის შესახებ იასონ ლორთქიფანიძე იხსენებს:



არჩევანი.

სახელმწიფო ბანკის გამგისა და საბ-ჭოს წევრთა.

დამფუძნებელმა კრებამ ამა 1920 წლის მარტის 16-ს სხდომაზე აირჩია სახელმწიფო ბანკის გამგედ იასონ ლორთქიფანიძე, ამავე ბანკის საბჭოს თავმჯდომარედ ნიკოლოზ ელიავა, საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად სვიმონ მდივანი და საბჭოსავე წევრებად: ვა-სილ ბერელაშვილი, გიორგი ჟურული, დიო-მიდე თოფურიძე, ადამ ფორაქაშვილი, კონ-სტანტინე მესხი, პარმენ ჭიჭინაძე და ივანე ცაგარელი.

დამფუძნებელი კრების თავმჯდო-
მარის უფროსი ამხ. ალ. ლომთათიძე.

28 მარტი. (1920 წ.)

[illegible]



იასონ ლორთქიფანიძე (1866-1949)

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

30 მარტსვე ჩხენკელი [illegible], [illegible], რომ [illegible]. ჩხენკელს [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

1 აპრილს მინისტრის ამხანაგის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და ბანკის შენობის შესახებ. [illegible] წინადადებები – [illegible] [illegible] და [illegible] შენობის [illegible] [illegible] და [illegible] სახელმწიფო ბანკის [illegible]. [illegible] [illegible]. 1 აპრილსვე, [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] და [illegible] შენობის [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

1920 წლის 16 აპრილს სახელმწიფო ბანკის [illegible], სახელმწიფო [illegible] სახელმწიფო ბანკის [illegible]

და ხარჯთაღრიცხვის პროექტი 1920 წლის 1-ლი ივლისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდის შესახებ. საკმაოდ გართულდა სახელმწიფო ბანკისათვის შენობის გადაცემის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, მმართველის [illegible] [illegible] [illegible] [illegible]:

23 აპრილს მთავრობის სხდომამ გადაწყვიტა სახელმწიფო ბანკი [illegible] [illegible] [illegible], [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible], რომ [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible] სახელმწიფო ბანკის [illegible] [illegible].

28.IV. ბანკი არ დათანხმდა და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], ჩ[illegible], [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] წინადადებები [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] 29-ში [illegible] [illegible] [illegible].

1920 წლის 10 მაისს სახელმწიფო ბანკის მმართველმა, იასონ ლორთქიფანიძემ საქართველოს დამფუძნებელ კრებას განსახილველად წარუდგინა ბანკის ხარჯთაღრიცხვა, ბანკის თანამშრომელთა საშტატო ნუსხა და სახელმწიფო კონტროლის დასკვნა. აღნიშნული საკითხი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა ფრაქციებსა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას გადაუგზავნა. საბოლოოდ, 8 ივნისს, პარლამენტმა დაამტკიცდა ბანკის საშტატო ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა. ასევე, დამფუძნებელმა კრებამ ბანკის გამგის მოადგილედ (ამხანაგად) რაჟდენ დუმბაძე დაამტკიცა. გამგეობის წევრებად: იასონ მენაბდე და სიმონ კილაძე. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის გადაწყვეტილებით, ახლად დაარსებული ბანკი რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის შენობაში უნდა განთავსებულიყო. შენობის გადმოსაბარებლად შეიქმნა სპეციალური კომისია, ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციის ხელმძღვანელის გ. ბერიძის მეთაურობით. ტფილისის კანტორის გამგე ედუარდ ბერგი დროულად არ ათავისუფლებდა შენობას, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნიდა სახელმწიფო ბანკის ფუნქციონირებას. ამ პრობლემის შესახებ იასონ ლორთქიფანიძე საკუთარ დღიურში იხსენებს:

On May 10, 1920, the governor  of the State Bank, Iason Lortkipanidze, submitted the bank's cost estimate, the staff list of the bank's employees and the report of the state control to the Parliament of Georgia for consideration. Finally, on June 8, the Parliament approved the bank's staff list and cost estimate; Also - Rajden Dumbadze as deputy governor, Jason Menabde and Simon Kiladze as  managmnet board members. According to the decision of the democratic government of Georgia, the newly established bank was to be located in the building of the Tbilisi  branch office of the State Bank of Russia. A special commission was created to hand over the building, headed by G. Beridze, the head of the expedition for the preparation of state papers of the Ministry of Finance. Eduard Berg, the manager of the Tbilisi office, did not vacate the building on time, which caused a great obstacle to the operation of the state bank. *The State Bank of Georgia* was opened on July 24, 1920, 7 months after the adoption of the law by the Constituent assembly . The opening of the bank was attended by : Noe Ramishvili (Minister of Internal Affairs), Simon Avaliani (Deputy Minister of Finance), Giorgi Arsenidze (Minister of Justice), Grigol Lortkifanidze (Minister of War ), Aleksandre Lomtatidze (Deputy Chairman of the Constituent  Assembly), Chairman of the Board of the  State Bank Nikoloz Eliava, his Deputy Simon Mdivani and Board Members: Giorgi Zhuruli, Vasil Berelashvili, Parmen Chichinadze, Konstantine Meskhi, Ivane Tsagareli, Adam Forakashvili, Diomide Topuridze and



მოანგარიშე 3

6

9. საქონლის საწყობი

გამგე I

მისი თანაშემწე I

დარაჯი 3

6

10. სადისკო ნაწილი

6

11. საბანკო ...

5

12. ...

13. ... ნაწილი

გამგე I

მოანგარიშე 2

5

14. ...

მოანგარიშე I

3

95

© საქართველოს ეროვნული არქივი

two representatives of the Ministry of Finance in the State Bank Board: Zhorzholiani and Chkheidze; Governor of the State Bank Jason Lortkipanidze, his deputy  Rajden Dumbadze, members of the management board: Iason Menabde and Samson Kiladze. Noe Ramishvili addressed the audience on behalf of the government, they also made a speech: Nikoloz Eliava, chairman of the bank's board, and Iason Lortkipanidze, the Governor  of the bank, who spoke about the difficult times in which the bank would have to operate. In his opinion, the main focus of the State Bank should be promotion of the trade and industry of the Republic of Georgia.

On August 16, 1920, the Parliament issued 2 decrees: the first on the capital increase of the State Bank and the second on the insurance fund of the State Bank.

დასახელებით განაწილება მოხელეების
სახელმწიფო ბანკში 1920 წელს.

| | | | |
|---|---|---|---|
| I. გამგეობა | | მექანიკოსი | I |
| მმართველი | I | შვეიცარი | I |
| მმართველის ამხანაგი | I | კურიერი | I |
| გამგეობის წევრი | 2 | | 31 |
| | 4 | 5. კ ა ს ა | |
| 2. ინსპექცია | | გამგე | I |
| ინსპექტორი | I | კასირი | 2 |
| 3. ცენტრალური ბუღალ-ტერია | | თანაშემწე კასირის | 2 |
| | | დამთვლელი | 8 |
| | | | 13 |
| | I | 6. ბუღალტერი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | 10.000 | |
| 8. | უფროსი ბუღალტ. თანაშემწე . . . | 6 | 10.000 | 60.000 |
| 9. | ნაწილის გამგე . . . . . . . | I | 10.000 | 10.000 |
| 10. | უცხო ენების კორესპონდენტი . . . | 9 | 8.000 | 72.000 |
| 11. | ნაწილის გამგის უფრ. თანაშემწე . | 2 | 8.000 | 16.000 |
| 12. | კასირი . . . . . . . . . | I | 8.000 | 8.000 |
| 13. | კონტროლიორის თანაშემწე . . . | 2 | 7.000 | 14.000 |
| 14. | კასირის თანაშემწე . . . . | I | 7.000 | 7.000 |
| 15. | არითმეტიკი . . . . . . . | 3 | 6.000 | 18.000 |
| 16. | უფროსი საქმის მწარმოებელი . . | 6 | 6.000 | 36.000 |
| 17. | ნაწილის გამგის უფრ. თანაშემწე . | I | 6.000 | 6.000 |
| 18. | არითმეტიკის თანაშემწე . . . . | I | 6.000 | 6.000 |
| 19. | უფროსი მოანგარიშე . . . . . | 3 | 5.000 | 15.000 |
| 20. | უმცროსი საქმის მწარმოებელი . . | I | 5.000 | 5.000 |
| 21. | უფროსი მემანქანე . . . . . . | 4 | 4.000 | 16.000 |
| | . . . . . . . | | 4.000 | 52.000 |

პროექტი

დ ე კ რ ე ტ ი

სახელმწიფო ბანკის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

I. გაიღებულ იქნას სახელმწიფო ბანკის გამგეობის განკარგულებაში … კის შესაბამისად ბანკის ხარჯების დასაფარავად 1920 წლის ი ვ ნ ი … პირველიდან დეკემბრის 31-მდე 7.251.000 .მანეთი თანახმად ამ დეკრე… დართული შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.-

2. დამტკიცებულ კრების მიერ 1920 წლის თებერვლის 24 მიღებულ სა… მწიფო ბანკის მმართველის, მისი ამხანაგის და გამგეობის წევრების ჯამ… …რების ნაწილობრივ დამტკიცებულ იქნას 1920 წლის ი ვ ნ ი ს ი ს პირველიდან … ამ დეკრეტთან დართულ შტატებში აღნიშნული ჯამაგირებით.

3. დეკრეტი ეს შედის ძალაში დღიდან მისი მიღების დამფუძნებელ კ… …ის მიერ.-

ბანკის მმართველი [signature]

პროექტი.

I დეკრეტის დამატება

შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა
სახელმწიფო ბანკისა 1920 წელს.

საერთო ხარჯთ-აღრიცხვა

I მოსამსახურე პირთა ჯამაგირი . . . /7 X 601.000/=4.207.000
2 საბჭოს თავმჯდომარეს . . . . . . . /7 X 6.00/ = 42.000
3 საბჭოს წევრთა გასამრჯელო /20 სხდომა 300 მან. თითო I2 კაცს/. . . . . . . = 72.000
4. გამნაწილებელ კომიტეტის წევრების გასამრჯელო /40 სხდომა, 200 მან. თითო I0 კაცს/= 80.000
5. საკანცელარიო ხარჯები. . . . . . . . . . = 600.000
6. სასტამბო ხარჯები. . . . . . . . . . = 600.000
7. ბინის მოვლა, განათება, გათბობა. . . . . . = 200.000
8. საგზაო ხარჯები, ავტომობილის შენახვა. . . . = 500.000
9. ინვენტარის განახლება და დამატებითი შეძენა 2000000 მან.

© საქართველოს ეროვნული არქივი

აპრილის 4. (1920 წ.)

„[illegible]…

[illegible]“.

აპრილის 15. (1920)

„[illegible]“.

აპრილის 16. (1920)

„[illegible] N22, [illegible]“.

აპრილის 17. (1920)

„[illegible]…“

აპრილის 23. (1920)

„[illegible]“.



საქართველოს სახელმწიფო ბანკის გახსნის დღე.თბილისი. 1920 წლის 24 ივლისი. მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: 1. აკაკი ჩხენკელი; 2 გრიგოლ ლორთქიფანიძე; 3 რაჟდენ დუმბაძე; 4 იასონ ლორთქიფანიძე; 5 ნოე რამიშვილი; 6 ალექსანდრე ლომთათიძე; 7 ნიკოლოზ ელიავა; 10 პარმენ ჭიჭინაძე; 11 ივანე ჭავჭანიძე. მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: 5 რაჟდენ დუმბაძე; 7 გიორგი ჟურული;





© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა





**სახელმწიფო ბანკის საოპერაციო დარბაზები.**

*© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა*

საქართველოს სახელმწიფო ბანკი, დამფუძნებელი კრების მიერ კანონის მიღებიდან 7 თვის დაგვიანებით, 1920 წლის 24 ივლისს გაიხსნა. ბანკის გახსნას ესწრებოდნენ: ნოე რამიშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრი), სიმონ ავალიანი (ფინანსთა მინისტრის მოადგილე), გიორგი არსენიძე (იუსტიციის მინისტრი), გრიგოლ ლორთქიფანიძე (სამხედრო მინისტრი), ალექსანდრე ლომთათიძე (დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე), ბანკის საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ელიავა, მისი მოადგილე სვიმონ მდივანი, წევრები: გიორგი ჟურული, ვასილ ბერელაშვილი, პარმენ ქიქინაძე, კონსტანტინე მესხი, ივანე ცაგარელი, ადამ ფორაქაშვილი, დიომიდე თოფურიძე და ფინანსთა სამინისტროს ორი წარმომადგენელი სახელმწიფო ბანკის საბჭოში: ჟორჟოლიანი და ჩხეიძე. სახელმწიფო ბანკის გამგე იასონ ლორთქიფანიძე, მისი ამხანაგი, რ.დუმბაძე, გამგეობის წევრები: ი.მენაბდე და ს. კილაძე. დამსწრე საზოგადოებას მთავრობის სახელით ნოე რამიშვილმა მიმართა. ასევე, სიტყვით წარდგნენ ბანკის საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ელიავა და ბანკის მმართველი იასონ ლორთქიფანიძე, რომელმაც აღნიშნა ის მძიმე დრო, როდესაც ბანკს მოუწევდა ფუნქციონირება. მისი აზრით, სახელმწიფო ბანკის მთავარი ორიენტირი საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის და მრეწველობისათვის ხელშეწყობა უნდა ყოფილიყო. სიტყვით წარდგა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ს. ავალიანიც. იასონ ლორთქიფანიძე ამ ისტორიულ დღეს ასე იხსენებს:

*„დღეს გაიხსნა სახელმწიფო ბანკი. იყო შეკრებილი [illegible] [illegible] და გამგეობის [illegible] [illegible] [illegible]. დაესწრნენ [illegible] თავმჯდომარის [illegible] ნ.რამიშვილი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის [illegible] ამხანაგი ა.ლომთათიძე, სამხედრო მინისტრი გრ.ლორთქიფანიძე, იუსტიციის მინისტრი გ.არსენიძე, მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგი მდივანი, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ს.ავალიანი, ჩხენკელი და სხვა.*

*ჟორდანია, [illegible], [illegible] [illegible] არ იყვნენ. ელიავა, გ.ჩხეიძე და ე. გეგეჭკორი. [illegible] სიტყვები წარმოთქვეს ი. ლორთქიფანიძემ და ნ. რამიშვილმა. მისალოცი ტელეგრამები გამოგზავნეს ნ. ჟორდანიამ და ე. გეგეჭკორმა“.*

1920 წლის 16 აგვისტოს დამფუძნებელი კრების მიერ გამოიცა 2 დეკრეტი: პირველი სახელმწიფო ბანკის კაპიტალის გადიდების შესახებ.



სახელმწიფო ბანკის თანამშრომლები. 1920 წლის 24 ივლისი.

*© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა*

პროექტი

# დეკრეტი
# სახელმწიფო ბანკის ძირითადი თანხის გადიდებისა

1. დამფუძნებელ კრების 1919 წლის დეკემბრის 31-ის კანონით დაწესებული სახელმწიფო ბანკის წესდების მეორე/2/ მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო ბანკის ძირითადი თანხა ორმოცდა ათი მილიონი /50.000.000/ მანეთი გადიდებულ იქნეს ას ორმოცდა ათი მილიონი/150.000.000/ მანეთამდე.

2. პირველ /I/ მუხლში მოხსენებული სახელმწიფო ბანკის ძირითადი თანხის დასამატებლად გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ასი მილიონი / 100.000.000/ მანეთი.

3. სახელწმიფო ბანკის დაარსების კანონისა და წესდების ყველა ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება დეკრეტის პირველ/I/ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო ბანკის ძირითადი თანხის გადიდებას, სათანადოდ იქნეს შეცვლილი.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. (9:1)

მეორე დეკრეტით სახელმწიფო ბანკთან „დამზღვევი ფონდი“ დაფუძნდა, რომლის ფუნქციონირებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან უპროცენტო სესხის სახით, 50 მილიონი მანეთი გამოიყო.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებითა და ბანკის საბჭოს დადგენილებით, 1920 წლის 16 სექტემბრიდან სახელმწიფო ბანკს დაევალა:

1. სავალუტო ფონდის შექმნა, რომელშიც უნდა ჩაირიცხოს 25% იმ წმინდა მოგებიდან, რომელსაც მიიღებს ვალუტით მთავრობა და მისი ორგანოები სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებიდან და ოპერაციებიდან;

2. იმ ნორმების დაწესება, რომელთა ფარგლებში ნებადართულია უცხო ვალუტის დაუბრკოლებლად გატანა, გაგზავნა და საზღვარგარეთ გადაგზავნა;

3. დადგენილი ნორმის ზემოთ ნებართვების გაცემა საზღვარგარეთ უცხო ვალუტის გადატანაზე, გაგზავნასა და გადაგზავნაზე;

4. სავაჭრო-სამრეწველო მიზნით, უცხო ვალუტის შესაძენად ნებართვების გაცემა;

5. იმ საკრედიტო დაწესებულებების ზედამხედველობა და კონტროლი, რომელთაც საგანგებო სათათბიროს მიერ უცხო ვალუტის ოპერაციების წარმოების უფლება მიენიჭათ;

6. ზომების მიღება ისეთი ძველი ანგარიშებისა და ხელშეკრულებების სალიკვიდაციოდ, რომლებიც უცხო ვალუტაზე უნდა განაღდნენ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სავალუტო ვაჭრობის საკითხი სრულიად უკონტროლო იყო. ამ პრობლემამ  თავი განსაკუთრებით 1920 წლის ზაფხულიდან იჩინა. 1920 წლის 19 ოქტომბერს გაზეთ „ერთობაში“ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდის თათბირის ანგარიში გამოქვეყნდა.ის გვამცნობდა, რომ:

*„სპეკულაციები ხდება არა მარტო საქონელზე, უცხოეთის ვალიუტა ისეთივე სასპეკულაციო საგანი შეიქმნა, როგორც პური და მანუფაქტურა. მრავალი სპეკულიანტი თფილისსა და ბათომში მხოლოდ ვალიუტის კურსზე თამაშით ცხოვრობს და მილიონობით იძენს. ყოვლად დაუშვებელია, რომ სავალუტო ოპერაციებს ასეთ დროს კერძო ბაზარი ახდენდეს. ეს საქმე სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში. სავალუტო ოპერაციებს მხოლოდ სახელმწიფო ბანკი და მის მიერ არჩეული საკრედიტო დაწესებულებანი უნდა აწარმოებდნენ. ამისთვის სახელმწიფო ბანკს უნდა მიეცეს სავალიუტო ფონდი. სახელმწიფო ბანკის გამოსვლა ამ ასპარეზზე ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება“.*


სახელმწიფო ბანკის ბალანსი.



**სახელმწიფო ბანკის ანგარიში, ქართული ბონების კურსის განმტკიცების შესახებ.**

*© იასონ ლორთქიფანიძის საოჯახო არქივი*

ამ საკითხზე სახელმწიფო ბანკის მმართველი, იასონ ლორთქიფანიძეც წერდა.

*30 ივლისი. (1920)*

*„რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ მე შევიტანე მთავრობაში პროექტი სავალუტო ოპერაციების მოსაწესრიგებლად. პროექტი გამოწვეული იყო იმით, რომ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ და ინგლისელების წასვლის შემდეგ უცხოურმა ვალუტამ აიწია, ამას დაერთო კერძო პირების მოქმედება და ივლისის 15-20 რიცხვებში საშინელი ვაკხანალია გაიმართა. მთავრობამ მიჰყო ხელი ამ კერძო პირთა დატუსაღებას და საქართველოდან გატანის და საბანკო კანტორების სრულიად დახურვას...“*

მთავრობამ სავალუტო ოპერაციები ნოემბრის თვეში კიდევ უფრო გაამკაცრა. კერძოდ, სახელმწიფო ბანკს საკრედიტო დაწესებულებებზე უნდა გაეცა ნებართვები უცხოურ ვალუტის შეძენის თაობაზე. განსაკუთრებულ ნებართვას საჭიროებდა 100 გირვანქა სტერლინგზე მეტი ოდენობის თანხის გატანა საზღვრებს გარეთ. საქართველოში შიდა დაზღვევა მხოლოდ ქართული ბონით მოხდებოდა. კერძო პირები ვალდებულები იყვნენ სახელმწიფო ბანკისათვის ყოველდღიურად წარედგინათ ცნობა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.



საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეობისაგან.



სახელმწიფო ბანკის გამგეობა.

# სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება








© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს ეროვნული ბანკი

# BATUMI BRANCH OF THE STATE BANK







© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს ეროვნული ბანკი

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, ბათუმი და აჭარა ოსმალეთის შემადგენლობაში შევიდა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მსგავსი სიტუაცია ნოემბრამდე გაგრძელდა. 1918 წლის ნოემბერში კი, მუდროსის დროებითი ზავის მიხედვით, ბათუმსა და აჭარაში ინგლისელთა ჯარი შევიდა და ბრიტანეთს დაქვემდებარებული გუბერნია შეიქმნა. 1919 წლის 25 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ ბათუმი და აჭარა საქართველოს განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა. 1920 წლის 25 თებერვალს ბათუმი, ერთა ლიგის მანდატით, პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა. იმავე წლის 4 ივლისს ბრიტანეთის ჯარი ბათუმიდან და აჭარის ოლქიდან გავიდა, 7 ივლისს კი ქართული ჯარი შევიდა. საქართველოს მთავრობამ ბათუმის ოლქისა და ქალაქ ბათუმის საგანგებო კომისრად, დამფუძნებელი კრების წევრი, ბენია ჩხიკვიშვილი დანიშნა, რომელიც საქართველოს მთავრობის მეთაურისადმი 16 ივლისს გამოგზავნილ ვრცელ მოხსენებაში სახელმწიფო ინსტიტუტების გადმობარების შესახებ იტყობინებოდა:

*ფურც. 21*
*გაგვიძნელდა ცოტა ოდნავ **სახელმწიფო ბანკის** მიღება, ვინაიდან იქ მყოფ გამგეს არ უნდოდა გადაბარება მისი, მაგრამ მიღებული ზომებით შენობა უკვე ჩავაბარეთ **სახელმწიფო ბანკის რწმუნებულს**,*

According to the Brest-Litovsk Treaty of March 3, 1918 , Batumi and Adjara became part of the Ottoman Empire . After Georgia's independence, a similar situation continued until November . In November 1918, according to the Armistrice of Mudros, the British army entered Batumi and Adjara and a governorate subordinated to Britain was created. On December 25, 1919, the Parliament of Georgia declared Batumi and Adjara to be an integral part of Georgia. On February 25, 1920, Batumi was declared Porto-Franco by the mandate of the League of Nations. On July 4 of the same year, the British army withdrew from Batumi and Adjara region , and on July 7, Batumi and its region were fully under the control of the Georgian government. In October 1920, the Batumi branch of the State Bank of Georgia was opened, where 38 employees worked.

On December 8, 1920, the board of the State Bank sent the Presidium of the Parliament the report of the bank for the period from July 24 to December 1. The bank's management board asked the parliament to appoint a day for the report. On December 16, a preliminary review of the State Bank's report was included in the agenda. Unfortunately, we do not know the date of the report of the Bank Governor before the Parliament. December 1920 and January 1921, the economic situation in Georgia was quite difficult . The budget deficit was growing, which was responded to by the increased rate of issuance of state money tokens. On February 11, 1921, the

*ხოლო სალარო და ფასიანი ქაღალდები ყოფილი უფროსის თხოვნით შენახულია მათვე გადმოსაცემად ბათუმის ხაზინაში, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთან შეთანხმებით. ჩემს მიერ იქნა გამოცემული სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც ყველა სახელმწიფო საკრედიტო და კერძო დაწესებულება ვალდებულნი არიან როგორც ფულის აღებ-მიცემა ისე ანგარიშის გასწორება აწარმოვონ საქართველოს რესპუბლიკის ბონებით.*

**1920 წლის ოქტომბერში საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება გაიხსნა.** ამის შესახებ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა: „სახელმწიფო ბანკის საბჭოს სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ბათუმის განყოფილების გახსნისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. ბანკის ბათუმის განყოფილება თავის გახსნის პირველივე დღიდანვე შეუდგა აქტიურ და პასიურ ოპერაციების წარმოებას. გახსნის დღეს ბანკის მიმდინარე ანგარიშზე შეიტანეს 50 მილიონი მანეთი. ბანკთან დაარსდა გამნაღდებელი და სავალიუტო კომიტეტი. ბათუმის განყოფილება თავის მოღვაწეობას ავრცელებს დასავლეთ იმერეთის, აფხაზეთის, სამეგრელოსა და ბათომის ოლქზე."

armed forces of Soviet Russia invaded the borders of the Democratic Republic of Georgia. After assessing the risks, the management board of the State Bank , in coordination with the country's government, with the involvement of the Ministry of Finance and State Control, decided to move Cash and Bank values to Kutaisi, which happened on February 16 and 17. According to the government's decision, a separate section of the Kutaisi treasury cashdesk was dedicated to the state bank's valuables, which was sealed in the presence of representatives of the state bank, the Ministry of Finance, state control, Tbilisi and Kutaisi treasuries. On February 24, in the evening, the members of the Republic Government and the Constituent Assembly left Tbilisi in the western direction and temporarily stopped in Kutaisi. XI Army of Soviet Russia invaded Tbilisi. Due to the complication of the situation, on March 5, 1921, the State Bank transferred cash and valuables from Kutaisi to the State Bank branch in Batumi. The administration and Management Board of the State Bank was also placed in the bank Management On March 10, the Government of Georgia and the composition of the Constituent Assembly moved to Batumi, and on March 18, they left Batumi and emigrated. The full management board of the State Bank remained in Georgia, including the governor Iason Lortkipanidze and his deputy Rajden Dumbadze, as well as management board members and all responsible employees. At the end of March 1921, the management of the State Bank asked the temporary body of the Soviet government "Revcom" for

1920 წლის 30 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ N264 დეკრეტით განსაზღვრა ბათუმის განყოფილების შტატი და ხარჯთაღრიცხვა. სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებაში 38 თანამშრომელი მუშაობდა.

1920 წლის 8 დეკემბერს სახელმწიფო ბანკის გამგეობამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს გაუგზავნა ბანკის ანგარიში 24 ივლისიდან 1 დეკემბრამდე პერიოდის შესახებ. ბანკის გამგეობა პარლამენტს სთხოვდა მოხსენებისათვის დღის დანიშვნას. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 16 დეკემბერს დღის წესრიგში შეიტანა სახელმწიფო ბანკის ანგარიშის წინასწარი განხილვა, მაგრამ როდის წარდგა პარლამენტის წინაშე ბანკის გამგე მოხსენებით ჩვენთვის უცნობია. გთავაზობთ სახელმწიფო ბანკის გამგის იასონ ლორთქიფანიძის პარლამენტისადმი გაგზავნილ მოხსენებას:



საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბალანსი
1920 წლის 1 დეკემბრის.

| აქტივი (ათასობით). | | პასივი (ათასობით). | |
|---|---|---|---|
| კასა და სახელდახელო ანგარიშები | 558 817 | ძირითადი თანხა | 150.000 |
| უცხოეთის ვალიუტა | 2.4 6 | სპეციალი თანხა | 50.000 |
| განაღდება თამასუქ. სავაჭრო ვალდებულ. და ვადიან ქაღალდ. | 115.171 | სახელდახელო ანგარიშები | 692.669 |
| სესხ. სახელდ. ანგარ. უზრუნველყოფ. თამასუქ. და სავაჭრო ვალდებულ. | 6 165 | ანგარიში გამგეობასთან | 35.233 |
| სესხი და სესხ. სახელდახელო ანგარ. საქონ. და საქონლის მ[illegible] საბუთ. | 169.101 | გადუხდელი გადამოგზ. ფული და გირაოსაგ. თანხ. | 32.035 |
| ანგარიში ხაზინებთან | 56 969 | სარგებელი მიღებული ოპერაციებისაგან | 12.632 |
| " განყოფილებასთან | 54 889 | | |
| " [illegible] | 431 | | |
| დასაბრუნებელი თანხები | 2 284 | | |
| მიმდინარე ხარჯები | 6 326 | | |
| ბალანსი | 972 569 | ბალანსი | 972 569 |

ბანკის მმართველი იასონ ლორთქიფანიძე.

help in the safe transportation of the protected moneys and valuables of the State Bank, as well as the bank's movable property from Batumi to Tbilisi. After the end of hostilities in Georgia, on April 16, 1921, the Finance Commissariat of Soviet Georgia allowed the management of the State Bank to return to the capital. It was forbidden to search the treasury of the State Bank, the personal belongings of the persons accompanying them. The State Bank continued functioning in Tbilisi from April 17. From September 1, 1921, the State Bank of Georgia was transformed into the "Soviet Socialist People's Bank of Georgia".

„სახელმწიფო ბანკის
მმართველი
14 დეკემბერი N2049
ქ. ტფილისი

[illegible]

ბანკის მმართველი: იასონ ლორთქიფანიძე“



1921 წლის 11 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალები შემოიჭრა. რისკების შეფასების შემდეგ სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელობამ, ქვეყნის მთავრობასთან კოორდინაციით, ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო კონტროლის ჩართულობით, გადაწყვიტა ნაღდი ფული და ფასეულობა ქუთაისში გაეხიზნა, რაც 16 და 17 თებერვალს ასეც მოხდა. მთავრობის გადაწყვეტილებით, ქუთაისის ხაზინის სალაროს ცალკე განყოფილება დაეთმო. სახელმწიფო ბანკის ფასეულობას, კომისიური წესით დაილუქა სახელწიფო ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის, თბილისისა და ქუთაისის ხაზინების წარმომადგენელთა თანდასწრებით. 24 თებერვალს, საღამოს, მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრებიც თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით გაემგზავრნენ და დროებით ქუთაისში შეჩერდნენ. თბილისში საბჭოთა რუსეთის XI არმია შემოიჭრა. სიტუაციის გართულების გამო, 1921 წლის 5 მარტს სახელმწიფო ბანკის მიერ ნაღდი ფული და ფასეულობა ქუთაისიდან ბათუმში, სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში გადაიტანეს. ბანკის განყოფილებაში განთავსდა სახელმწიფო ბანკის მმართველობაც. 10 მარტს ბათუმში გადავიდა საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების შემადგენლობა, ხოლო 18

სახელმწიფო ბანკის ანგარიში დამფუძნებელ კრებას, 1920 წლის დეკემბერი.

*© საქართველოს ეროვნული არქივი*

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო   ბ ა ნ კ ი

შემოტანილი ფულის და გაცემული ხურდის   ნ ა შ თ ე ბ ი   1920 წ ლ ი ს   /თბილისი/.-

| სახელმწიფო ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ა. | სექტემბრის 1. | | [illegible] | ოქტომბრის 1. | | [illegible] | ნოემბრის 1. | | [illegible] | დეკემბრის 1. | | [illegible] | იანვრის 1. | | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შემოტანილი ფული. | გაცემული ხურდა. | | შემოტანილი ფული. | გაცემული ხურდა. | | შემოტანილი ფული. | გაცემული ხურდა. | | შემოტანილი ფული. | გაცემული ხურდა. | | შემოტანილი ფული. | გაცემული ხურდა. | |
| ხაზინის დაწესებულებანი | 223684 | - | - | 224587 | 1000 | 3 | 213552 | 1000 | 5 | 412339 | - | | | | |
| ს უ ლ ........ | 223684 | " | " | 324587 | 1000 | 3 | 213552 | 1000 | 5 | 412339 | - | | | | |
| ქალაქები და ერობები .... | 4254 | 17991 | 4229 | 1582 | 23414 | 14800 | 4082 | 64641 | 15953 | 1689 | 65954 | 32720 | | | |
| კოოპერატივები და კოოპერატ. ბან.ხური ............. | 4250 | 3400 | 800 | 718 | 16593 | 23110 | 1817 | 38177 | 21011 | 3944 | 35694 | 9304 | | | |
| საზოგადო დაწესებულებანი.. | 275 | 950 | 3455 | 3845 | 3002 | 781 | 3400 | 3002 | 883 | 2797 | 3002 | 1075 | | | |
| ს უ ლ ............ | 8779 | 22341 | 2545 | 6145 | 43009 | 6999 | 9269 | 105820 | 11417 | 8430 | 96650 | 11465 | | | |
| ბანკები ............... | 129443 | " | - | 112473 | 200 | 2- | 139621 | 1100 | 8 | 169463 | 893 | 5 | | | |
| კერძო ფირმები ......... | 42832 | 16604 | 388 | 75708 | 35642 | 478 | 31990 | 70813 | 2213 | 61679 | 70561 | 1144 | | | |
| კერძო პირები .......... | 7589 | 8462 | 1100 | 28196 | 57323 | 2004 | 11072 | 108018 | 9756 | 15660 | 77957 | 4978 | | | |
| ს უ ლ ............ | 179864 | 25066 | 140 | 217779 | 94165 | 432 | 182683 | 179931 | 985 | 246802 | 149411 | 606 | | | |

© საქართველოს ეროვნული არქივი

რო დაწვრილებით თვით ცხრილიდან სჩანს, რომ საზოგა-
დოებრივ დაწესებულებებს ბევრად მეტი ფული წაუღიათ
სესხი შემოტანილ ფულთან შედარებით, ვიდრე კერძო და-
წესებულებათ და კერძო პირთ. ენკენისთვის I-ს თითო
ათას შემოტანილ ფულზე საზოგადოებრივ დაწესებულებას
წაღებული ჰქონდა 2.545 მან., კერძო დაწესებულებებს
და პირებს – I40 მან. დეკემბრის პირველს – საზოგადოებ-
რივ დაწესებულებებს ჰქონდათ წაღებულ სესხი შემოტა-
ნილ ფულის თითო ათას მანეთზე II.465 მან., კერძო
დაწესებულებას და პირებს კი 605 მან.-

ბ ა ნ კ ი ს  მ მ ა რ თ ვ ე ლ ი

© საქართველოს ეროვნული არქივი

მარტს ბათუმი დატოვეს და ემიგრაციაში გაემგზავრნენ. საქართველოში დარჩა სახელმწიფო ბანკის მმართველობის სრული შემადგენლობა, მათ შორის, მმართველი, იასონ ლორთქიფანიძე და მისი მოადგილე რაჟდენ დუმბაძე, ასევე - გამგეობის წევრები და ყველა პასუხისმგებელი თანამშრომელი. 1921 წლის მარტის ბოლოს სახელმწიფო ბანკის მმართველობამ საბჭოთა ხელისუფლების დროებით ორგანოს „რევკომს“, საჭიროებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბანკის დაცული ფულის ნიშნებისა და ფასეულობის, ასევე, ბანკის მოძრავი ქონების ბათუმიდან თბილისში უსაფრთხო ტრანსპორტირებაში დახმარება სთხოვა. საქართველოში საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ, 1921 წლის 16 აპრილს საბჭოთა საქართველოს ფინანსთა კომისარიატმა სახელმწიფო ბანკის მმართველობას დედაქალაქში დაბრუნების ნება დართო. იკრძალებოდა სახელმწიფო ბანკის განძის, მათი თანმხლები პირების პირადი ნივთების ჩხრეკა. სახელმწიფო ბანკმა თბილისში ფუქნციონირება 17 აპრილიდან განაგრძო. 1921 წლის 1-ელი სექტემბრიდან კი, საქართველოს სახელმწიფო ბანკი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ სახალხო ბანკად“ გადაკეთდა.



სახელმწიფო ბანკის მიმართვა ბათუმის ფინანსთა კომისარს.
1921 წლის 29 მარტი.

*© იასონ ლორთქიფანიძის საოჯახო არქივი*



ბათუმის რევკომის მოწმობა სახელმწიფო ბანკის მმართველობას და სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავი ექსპედიიცის მმართველს.

*© იასონ ლორთქიფანიძის საოჯახო არქივი*



ბათუმის რევკომის მოწმობა სახელმწიფო ბანკის მმართველს იასონ ლორთქიფანიძეს.

© იასონ ლორთქიფანიძის საოჯახო არქივი





ბათუმის რევკომის მიმართვები რკინიგზის ექსპლუატაციის უფროსს,
ფოთის ნავსადგურის უფროსს და ფოთის რევკომს სახელმწიფო ბანკის შესახებ.

*© იასონ ლორთქიფანიძის საოჯახო არქივი*

თა სახალხო
მისარი.
პრილი 1921წ.
№ 357
ბილისი.

# მ ო წ მ ო ბ ა .-

თანახმად ბათომის რევკომის მოწმობისა მარტის 30-ღ
№ 187 ქვემოხსენიბულ პირებს: სახელმწიფო ბანკის მმართვ
ი.მ. ლორთქიფანიძეს, მის ამხანაგს რ.გ. დუმბაძეს, გამგეობის
წევრებს ი.ს. მინაბდეს, ს.დ. კილაძე და ექსპედიციის გამგე
პ. მაჭავარიანს ნება ეძლევათ თავიანთი ავეჯეულობის და
ბარგის გამოტანისა, რომელიც ჩამოიტანეს ბათომიდან სახელ
მწიფო ბანკის განძეულობასთან ერთად. მათი ბარგი და ავეჯ
ლობა არ უნდა იქნეს გაჩხრეკილი და ჩამორთმეული.-

ფინანსთა სახალხო
კ ო მ ი ს ა რ ი

© იასონ ლორთქიფანიძის საოჯახო არქივი


5000 მან.
№ 0227
საქართველოს რესპუბლიკა
სს-0018

**საქართველოს სახელმწიფო ბანკი (1919-1921)**

**სარედაქციო ჯგუფი:**
კონსტანტინე ბარაბაძე
სალომე ჩიკვილაძე
ნანა კობერიძე
როლანდ სპანდერაშვილი
გიორგი ლიქოკელი

**დიზაინერი:** ნატა ყუბანეიშვილი

